საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

03. 02. 2014 წელი 12/2

---------- ქ. თბილისი № ----------

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს № 03/34 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ააიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 24 იანვრის № 10/2 ბრძანებაში:

2. საკონკურსო დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ მდივნად ნაცვლად სპეციალისტ **ნინო ხუციშვილისა** შეყვანილ იქნას სპეციალისტი **თამარ ბასიაშვილი.**

3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 6 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით. მის. შოთა რუსთაველის გამზირი № 19; 577 28 87 71

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6.

რექტორის მოვალეობის

შემსრულებელი გიორგი მარგველაშვილი

საქართველო, თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 19. ტელ: (995 32) 999411, ფაქსი (995 32) 990579. ელ.ფოსტა: info@tafu.edu.ge